



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION



20  
24

საქართველოს შინაგარეკავშირების მინისტრის  
ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი  
სწავლების უწყისეობის უწყისეობის

გიორგი მიქელაძე, ნესტან ფანცულაია, ანა ვარამაშვილი,  
მარიამ ოქრუაშვილი

საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების  
ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები

(გამოკვლევის ანგარიში)



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2026

ავტორები მადლობას უხდებიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, გამოკვლევის ჯგუფს, შპს „ბი სი ჯი“-ს და მონაწილე შინამეურნეობებს მათი დროისა და თანამშრომლობისთვის.

**სამეცნიერო რედაქტორი:** პროფესორი სიმონ გელაშვილი,  
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეცენზენტები:** ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე,  
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასისტენტ-პროფესორი ივანე კეჭყაძე,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“ პროექტის №FR-22-25281

© გიორგი მიქელაძე, ნესტან ფანცულაია, ანა ვარამაშვილი, მარიამ ოქრუაშვილი

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2026

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოკსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-529-72-6

## სარჩევი

სარჩევი .....	3
1. შესავალი .....	6
2. კვლევის მეთოდოლოგია .....	7
2.1 შერჩევის დიზაინი .....	7
2.2 კითხვარები .....	8
2.3 ეთიკური პროტოკოლი .....	8
2.4 მონაცემთა შეგროვების მეთოდი .....	9
2.5 ტრენინგი .....	9
2.6 საველე სამუშაოები და ხარისხის კონტროლის ღონისძიებები .....	9
2.7 მონაცემთა მართვა, რედაქტირება და ანალიზი .....	9
2.8 როგორ წავიკითხოთ ცხრილები .....	10
3. მაჩვენებლები და განმარტებები .....	11
4. შერჩევის მოცულობა და რესპონდენტის მახასიათებლები .....	16
4.1 გამოკითხვის შედეგები .....	16
ცხრილი SR.1.1: შინამეურნეობისა და 7-14 წლის ასაკის ბავშვების გამოკითხვის შედეგები .....	17
4.2 საცხოვრებლის და შინამეურნეობის მახასიათებლები .....	18
ცხრილი SR.2.1: საცხოვრებლის მახასიათებლები .....	19
ცხრილი SR.2.2: შინამეურნეობისა და პერსონალური აქტივები .....	20
ცხრილი SR.2.3: შემოსავლის კვინტილები .....	21
4.3 შინამეურნეობის შემადგენლობა .....	22
ცხრილი SR.3.1: შინამეურნეობის შემადგენლობა .....	23
4.4 შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა .....	25
ცხრილი SR.4.1: შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება სქესის მიხედვით .....	25
4.5 7-14 წლის ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები .....	26
ცხრილი SR.5.3: 7-14 წლის ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები .....	26
4.6 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები .....	28
ცხრილი SR.9.2: შინამეურნეობის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოწყობილობების ფლობა და ინტერნეტთან წვდომა .....	29
4.7 ბავშვთა საცხოვრებელი პირობები .....	31
ცხრილი SR.11.1: ბავშვების საცხოვრებელი პირობები და ობლობა .....	32

ცხრილი SR.11.2: ბავშვების საცხოვრებელი პირობები და მშობლებთან თანაცხოვრება.....	34
ცხრილი SR.11.3: მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები..	37
5. სწავლა.....	40
5.1 საბავშვო ბაღი.....	40
5.1 დასწრება .....	43
ცხრილი LN.2.2: დაწყებით სკოლაში შესვლა.....	45
ცხრილი LN.2.3: სკოლის დაწყებით საფეხურზე დასწრება და სკოლის მიღმა მყოფი ბავშვები .....	46
ცხრილი LN.2.4: სკოლის არასრულ საშუალო (საბაზო) საფეხურზე დასწრება და სკოლის მიღმა მყოფი მოზარდები.....	49
ცხრილი LN.2.5: ასაკისა და კლასის შესაბამისობა .....	51
ცხრილი LN.2.6: სკოლის სრულ საშუალო საფეხურზე დასწრება და სკოლის მიღმა მყოფი ახალგაზრდები .....	53
ცხრილი LN.2.7: სკოლის შესაბამის საფეხურზე შესვლის საერთო, საფეხურის დასრულებისა და ეფექტური გადასვლის დონეები.....	55
ცხრილი LN.2.8: თანასწორობის ინდექსი .....	57
5.2 მშობელთა ჩართულობა .....	59
ცხრილი LN.3.1: მშობლების ჩართულობა სასკოლო აქტივობებში .....	61
ცხრილი LN.3.2: გაკვეთილის არჩატარების საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული მიზეზები.....	66
ცხრილი LN.3.3: სასწავლო გარემო სახლში.....	71
5.3 საფუძვლიანი სწავლების უნარები .....	76
ცხრილი LN.4.1: საფუძვლიანი კითხვითი უნარები.....	77
ცხრილი LN.4.2: საფუძვლიანი მათემატიკის უნარები .....	84
6. ძალადობისა და ექსპლუატაციისგან დაცვა .....	91
6.1 ბავშვის აღზრდა.....	91
ცხრილი PR.2.1: ბავშვის აღზრდა .....	92
ცხრილი PR.2.2: ფიზიკური დასჯის მიმართ დამოკიდებულება .....	93
7. ცხოვრების თანაბარი შანსი.....	94
7.1 ბავშვის ფუნქციონირება .....	94
ცხრილი EQ.1.2: ბავშვის ფუნქციონირება (7-14 წლის ასაკის ბავშვები).....	95
ცხრილი EQ.1.3: დამხმარე მოწყობილობებით სარგებლობა (7-14 წლის ასაკის ბავშვები).....	98
დანართები.....	99

კვლევაში ჩართული პერსონალის სია.....	99
კვლევაში გამოყენებული კითხვარები.....	100
დემოგრაფიული კითხვარი .....	100
შინამეურნეობის კითხვარი .....	105
ძირითადი კითხვარი .....	112
FL მოდულის ბუკლეტი.....	144
გამოუპასუხებლობის ფორმა .....	167

## 1. შესავალი

2024 წელს, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების კეთილდღეობის, ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლის უნარების შესაფასებლად ჩატარდა ეროვნული სტატისტიკური გამოკვლევა.

კვლევა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზაზე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, კერძოდ, სტატისტიკური კვლევა განხორციელდა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) პროექტის №FR-22-25281 მხარდაჭერით.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევა. პროექტი ითვალისწინებდა სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელებას და სამეცნიერო გრანტის მცირე ბიუჯეტიდან გამომდინარე რეპრეზენტატიული მონაცემების მიღებას ქვეყნის დონეზე.

გამოკვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef), საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების გაერთიანების (ITU) და ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაანგარიშების ევროსტატის მეთოდოლოგიას. გამოკვლევის ფარგლებში გამოყენებულია ვაშინგტონ ჯგუფის (Washington Group on Disability Statistics) ფუნქციური სირთულეების შესახებ კითხვების მოკლე ვერსია, საფუძვლიანი სწავლების უნარების შეფასების გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) და ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაანგარიშების ევროსტატის მეთოდოლოგია. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მაჩვენებლების შესაფასებლად გამოყენებულია საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების გაერთიანების (ITU) მეთოდოლოგია. აღნიშნული კვლევა პირველად ადგენს საცხოვრებელი ფართის გადატვირთულობის მაჩვენებელს საქართველოსთვის და ამავდროულად ანგარიშობს ისეთ მნიშვნელოვან ინდიკატორებს, როგორცაა SDG 4.1.1a და SDG 4.5.1. შედეგად, კვლევა ქმნის მყარ ემპირიულ საფუძველს მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და სოციალური პოლიტიკის ფორმირებისთვის, ზრუნავს განათლების ხელმისაწვდომობაზე და უზრუნველყოფს, რომ განვითარების, ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების შესაძლებლობების მიღმა ბავშვები არ დარჩნენ.

## 2. კვლევის მეთოდოლოგია

### 2.1 შერჩევის დიზაინი

გამოკვლევაში შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა. კონფიდენციალობის პრინციპის გამო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან (საქსტატი) მონაცემები მიღებულ იქნა სააღწერო უბნების დონეზე, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას უბნების საზღვრებისა და ქუჩების მითითებით.

კვლევაში გამოყენებულია სტრატეგიცირებული სამსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევა, სადაც შერჩევის პირველად ერთეულს წარმოადგენს სააღწერო უბანი, მეორად ერთეულს - შინამეურნეობის მისამართი, ხოლო მესამედ ერთეულს - შინამეურნეობაში მცხოვრები 7-14 წლის ასაკის ყველა ბავშვი. სტრატეგიკაციის ცვლადებს წარმოადგენს რეგიონი და დასახლების ტიპი. შერჩევა მოიცავს 21 სტრატას და 193 სააღწერო უბანს.

შერჩევის პირველ ეტაპზე გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობა (1,200 შინამეურნეობა) ფესვის პროპორციულად გადანაწილდა რეგიონების ზომის მიხედვით, ხოლო რეგიონებში დასახლების ტიპის მიხედვით. უბნების შერჩევისთვის გამოყენებულია ზომის პროპორციული ალბათური (PPS) მეთოდი, ხოლო უბანში შინამეურნეობების შერჩევა ხდება სისტემური მეთოდით. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტიპის უბნებში გამოიკითხა 5 შინამეურნეობა, ხოლო სოფლის ტიპის უბნებში - 8 შინამეურნეობა. სტრატაში უბნების შერჩევისათვის (შპე) გამოყენებულ იქნა ზომის პროპორციული ალბათური (PPS) მეთოდი, ხოლო შერჩეულ უბანში შინამეურნეობების შერჩევისათვის კი სისტემური შერჩევის მეთოდი. უბანში შეირჩა შინამეურნეობების საჭირო რაოდენობა, სისტემატიური შერჩევის მეთოდით ქალაქის ტიპის დასახლებებში - 15, სოფლის ტიპის დასახლებებში - 24. ყველა შერჩეულ შინამეურნეობაში ივსებოდა დემოგრაფიული კითხვარი, ხოლო შინამეურნეობის და ძირითად კითხვარებს ავსებდნენ ქალაქის ტიპის დასახლებებში 5, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 8 შინამეურნეობაში. იმ შემთხვევაში თუ მითითებული მისამართები საკამარისი არ აღმოჩნდებოდა შესაბამისი რაოდენობის გამოსაკითხად, ბოლო მისამართიდან წინასწარ განსაზღვრული ბიჯით ხდებოდა საჭირო რაოდენობის შინამეურნეობების შერჩევა (ბიჯის ზომა: ყოველი მეხუთე ოჯახი). აქტუალიზებული შინამეურნეობების მონაცემთა ბაზიდან საერთო ჯამში გამოსაკითხად შერჩეულია 3,597 შინამეურნეობა.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობიდან გამომდინარე, გამოკითხვა განხორციელდა რამდენიმე ენაზე. საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის 86.8% ქართველ, 6.3% აზერბაიჯანელ, ხოლო 4.5% სომეხ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, ჯამში 97.6%. ამასთან, თითოეული დანარჩენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის წილი ნაკლებია 1%-ზე. ამრიგად, გამოკითხვა განხორციელდა ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

## 2.2 კითხვარები

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა გამოკვლევის სავსე ინსტრუმენტარის და მეთოდოლოგიის შემუშავება/ადაპტაცია. კერძოდ, გამოკითხვა განხორციელდა 4 კითხვარის მეშვეობით: 1) დემოგრაფიული კითხვარი; 2) შინამეურნეობების კითხვარი; 3) ძირითადი კითხვარი და 4) გამოუპასუხებლობის ფორმა. ამასთან, სავსე პერსონალის მოსამზადებლად შეიქმნა კითხვარების შევსების ინსტრუქცია. გამოკვლევის ინსტრუმენტარი მოიცავს შემდეგ მოდულებს: შინამეურნეობების დემოგრაფიულ მონაცემებს; განათლების; ბავშვზე ზრუნვის; შინამეურნეობების შემოსავლების; დახმარების მიღების; საცხოვრებელი პირობების; ცნობებს ბავშვის (7-14 წლის ასაკის) შესახებ; დედის/მეურვის ფუნქციონირების; ბავშვის აღზრდის; ბავშვის ფუნქციონირების; მშობლების ჩართულობის; საფუძვლიანი სწავლების უნარებისა და ინფორმაციას გამოუპასუხებლობის შესახებ.

გამოკვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) და ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაანგარიშების ევროსტატის მეთოდოლოგიას. გამოკვლევის ფარგლებში გამოყენებულია ვაშინგტონ ჯგუფის (Washington Group on Disability Statistics) ფუნქციური სირთულეების შესახებ კითხვების მოკლე ვერსია, საფუძვლიანი სწავლების უნარების შეფასების გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) და ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაანგარიშების ევროსტატის მეთოდოლოგია.

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა საქართველოს რეალობის შესატყვისი ინფორმაციის მისაღებად კითხვებისა და შესაბამისი მოდულების ადაპტაცია. კერძოდ, საფუძვლიანი სწავლების მოდულის ადაპტაციისთვის განხორციელდა დეტალური კვლევა საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედი გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ, შესაბამისად, საფუძვლიანი სწავლების მოდული სრულ შესაბამისობაშია როგორც გაეროს, ასევე საქართველოს განათლების სისტემაში გამოყენებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან. ამასთან, ადაპტირებული იყო სავსე ინსტრუმენტარში გამოყენებული როგორც ცალკეული კითხვები, ასევე, კითხვათა ბლოკები.

სავსე ინსტრუმენტარის შემუშავებისა და ადაპტაციის შემდეგ განხორციელდა მათი თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე.

## 2.3 ეთიკური პროტოკოლი

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა, ხოლო 7-14 წლის ასაკის ბავშვების შემთხვევაში, წერილობითი ინფორმირებული თანხმობა მიღებულ იქნა მონაცემთა შეგროვებამდე მათი მშობლებისგან ან კანონიერი მეურვეებისგან. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო და რესპონდენტები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნის, პროცედურების, პასუხების კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის შესახებ. ამასთან, რესპონდენტებს ეცნობათ, რომ მათ ჰქონდათ უფლება არ ეპასუხათ არცერთ ან რომელიმე კონკრეტულ კითხვაზე, ასევე ნებისმიერ დროს შეეძლოთ შეეწყვიტათ ინტერვიუ.

მონაცემები შეგროვდა და დამუშავდა კვლევისთვის საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად. რესპონდენტების პერსონალური იდენტიფიკატორები არ შეგროვებულა, ხოლო მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა ანონიმიზირებული და აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად.

## 2.4 მონაცემთა შეგროვების მეთოდი

კვლევაში მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ქაღალდზე დაფუძნებული პირისპირ ინტერვიუს (PAPI) მეთოდის გამოყენებით. ინტერვიუებმა შეავსეს სტანდარტიზებული კითხვარები შინამეურნეობებში ვიზიტის დროს, რაც უზრუნველყოფდა პირდაპირ კომუნიკაციას რესპონდენტებთან და საშუალებას აძლევდა მონაცემების სიზუსტის დადასტურებას შეგროვების პროცესში.

## 2.5 ტრენინგი

საველე პერსონალის ტრენინგი ჩატარდა 10-11 თებერვალს, ტრენინგი მოიცავდა ლექციებს ინტერვიუს ჩატარების ტექნიკისა და კითხვარების შინაარსის შესახებ, აგრეთვე, ტრენინგის მონაწილეებს შორის კითხვების დასმაში გავარჯიშების მიზნით იმიტაციური ინტერვიუების ჩატარებას, კვლევის ძირითადი პერსონალისა და კვლევითი კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობით.

სააღწერო უბნების შემოვლა და მისამართების ლისტინგი განხორციელდა 22 იანვრიდან 2 თებერვლამდე, ხოლო საველე საქმიანობა ჩატარდა 19 თებერვლიდან 19 აპრილამდე.

## 2.6 საველე სამუშაოები და ხარისხის კონტროლის ღონისძიებები

საველე საქმიანობის მონიტორინგის, შესაძლო ხარვეზების დროულად აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული იყო საველე საქმიანობის მონიტორინგის 8 ცხრილი. აღნიშნული ცხრილების მიხედვით ინტერვიუების დონეზე მოწმდებოდა გამოპასუხების რაოდენობა, შინამეურნეობების სტრუქტურა, საკვანძო კითხვების პასუხების პროცენტული განაწილება და შესაბამისი ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება. გუნდის ზედამხედველები პასუხისმგებელნი იყვნენ საველე სამუშაოების ყოველდღიურ მონიტორინგზე.

## 2.7 მონაცემთა მართვა, რედაქტირება და ანალიზი

მონაცემთა ბაზის ფორმირება მოიცავდა სამუშაო ელექტრონული ბაზის შექმნას, კითხვარების ჩაწერასა და მონაცემთა რედაქტირებას. საწყის ეტაპზე შემუშავდა ელექტრონული მონაცემთა ბაზის სტრუქტურა. ძირითადი ცხრილების სტრუქტურა დაფუძნებულია კითხვარების სახეობისა და მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაციის პრინციპებზე, სადაც თითოეული კითხვარის ინფორმაცია განცალკევებულია და ცხრილები განსაზღვრულია უნიკალური ერთეულის მიხედვით.

კითხვარების ჩაწერის შემდეგ განხორციელდა ხარისხის კონტროლი, რომელიც მოიცავდა შეყვანილი კითხვარების 20%-ის გადამოწმებას. ვერიფიკაციის შედეგად არ გამოვლინდა მონაცემთა ჩაწერის დაბალი ხარისხი.

მონაცემთა რედაქტირებისთვის შემუშავდა 219 დასარედაქტირებელი ბრძანება, რომლებიც პირობითად იყოფა ოთხ კატეგორიად: 1) მონაცემთა ტექნიკური ლოგიკის ბრძანებები, რომლებიც ამოწმებს თეორიულად შეუძლებელი მნიშვნელობების არსებობას; 2) კითხვარის გადასვლების ლოგიკის ბრძანებები, რომლებიც ამოწმებს გამორჩენილ და ზედმეტად ჩაწერილ პასუხებს; 3) რაოდენობრივი ბრძანებები, რომლებიც ამოწმებს კითხვარებისა და პასუხების რაოდენობრივ მახასიათებლებს; და 4) კითხვებს შორის შინაარსობრივი კავშირის ბრძანებები, რომლებიც აფასებს პასუხების ლოგიკურ თანმიმდევრულობას. აღმოჩენილი შეცდომები და საექვო პასუხები გასწორდა შინამეურნეობებთან და საველე პერსონალთან დაზუსტების საფუძველზე.

## 2.8 როგორ წავიკითხოთ ცხრილები

ანგარიშში მოცემული ცხრილები მოიცავს სპეციფიკურ ანოტაციებს, რომლებიც გამოიყენება თანმიმდევრულად შემდეგი მითითებების აღსანიშნავად:

- (\*) - ვარსკვლავი ფრჩხილებში ნიშნავს, რომ პროცენტი ან პროპორცია ეფუძნება 25-ზე ნაკლებ შეუწონავ დაკვირვებას და შესაბამისად ძალიან მცირეა გამოსაქვეყნებლად;
- (რიცხვი) - ფრჩხილებში მოცემული რიცხვი მიუთითებს, რომ პროცენტი ან პროპორცია ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას და გამოყენებისას მოითხოვს სიფრთხილეს;
- „არ ვიცი/მონაცემი არ არის“ შეუწონავი დაკვირვებათა რაოდენობის სიმცირის შემთხვევაში ამოღებულია ცხრილიდან;
- “-“ - ტირე ცხრილებში აღნიშნავს 0 შეუწონავ შემთხვევას მნიშვნელში;
- აშ - არ შეესაბამება.

### 3. მაჩვენებლები და განმარტებები

FFLS მაჩვენებელი		SDG <sup>1</sup>	მოდული <sup>2</sup>	განმარტება <sup>3</sup>	მნიშვნელობა
<b>შერჩევის მოცულობა და რესკონდენტების მახასიათებლები</b>					
SR.1	შინამეურნეობები, ვისაც აქვთ სარგებლობაში ტელევიზორი		HC	შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც აქვთ ტელევიზორი	97.4
SR.2	შინამეურნეობები, ვისაც აქვთ სარგებლობაში ტელეფონი		HC	შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც აქვთ ტელეფონი (მობილური ტელეფონი ან სტაციონარული სატელეფონო კავშირი (სახლის ტელეფონი))	99.8
SR.3	შინამეურნეობები, ვისაც აქვთ სარგებლობაში კომპიუტერი		HC	შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც აქვთ კომპიუტერი	80.4
SR.4	შინამეურნეობები, ვისაც აქვთ ინტერნეტთან		HC	შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც აქვთ ინტერნეტთან	98.3
SR.5	ბავშვების საცხოვრებელი პირობები		HL	0-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ არცერთ ბიოლოგიურ მშობელთან	3.9
SR.6	ბავშვების წილი, რომლებსაც ერთი ან ორივე მშობელი გარდაცვლილი ჰყავთ		HL	0-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც გარდაცვლილი ჰყავთ ერთი ან ორივე ბიოლოგიური მშობელი	3.2
SR.7	ბავშვები, რომელთა მინიმუმ ერთი მშობელი ცხოვრობს საზღვარგარეთ		HL	0-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომელთა ერთი ან ორივე ბიოლოგიური მშობელი ცხოვრობს საზღვარგარეთ	7.0
<b>სწავლა</b>					
LN.1	ადრეულ (სკოლამდელ) განათლების დაწყებულუბაში დასწრება		ED	36-59 თვის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღში	75.6
LN.2	ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის დონე (კორექტირებელი)	4.2.2	ED	შესაბამისი ასაკის ბავშვების (საწყველო წლის დასაწყისისთვის სკოლაში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი ასაკის)	94.4

<sup>1</sup> მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესაბამისი მაჩვენებლები, <http://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list/>. SDG მაჩვენებლებზე მომუშავე უწყებათმშორისი სამუშაო ჯგუფი მუდმივად ანახლებს სხვადასხვა SDG მაჩვენებლის მეტამონაცემებს, ცვლილებები ეხება SDG მაჩვენებლების სიასაც. SDG მაჩვენებლების მეტამონაცემების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://unstats.un.org/sdgs/metadata/>

<sup>2</sup> ზოგიერთი მაჩვენებელი დათვლილია გამოკვლევის კითხვარების რამდენიმე მოდულის კითხვების საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში მითითებულია ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მოდული(ები).

<sup>3</sup> გამოკვლევის ყველა მაჩვენებელი სტატისტიკური სანდოობიდან გამომდინარე ჩამოშორდა ან შეიძლება ჩამოშორდეს კეთილდღეობის ინდექსის კვინტილის, სქესის, ასაკის, ეროვნების, ფუნქციონირების სირთულეების, გეოგრაფიული მდებარეობის ან სხვა მახასიათებლების მიხედვით SDG მაჩვენებლებზე უწყებათმშორისი ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად:

<http://unstats.un.org/sdgs/indicators/Official%20List%20of%20Proposed%20SDG%20Indicators.pdf>

FFLS მაჩვენებელი	SDG <sup>1</sup>	მოდული <sup>2</sup>	განმარტება <sup>3</sup>	მნიშვნელობა
LN.3	სასკოლო მზობა	ED	პროცენტული წილი, ვინც დადის საბავშვო ბაღში ან ექვრება სკოლის დაწყებით საფეხურს	88.8
LN.4	დაწყებით სკოლაში შესვლის წმინდა მაჩვენებელი	ED	სკოლის დაწყებით საფეხურზე შესვლის შესაბამისი ასაკის მქონე ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან პირველ კლასში	83.8
LN.5a LN.5b LN.5c	დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული)	ED	<p>ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც</p> <p>a) არიან სკოლის დაწყებით საფეხურზე სწავლის შესაბამისი ასაკის და ამჟამად ექვრებიან სკოლის დაწყებით ან არასრულსაშუალო (საბაზო) საფეხურს</p> <p>b) არიან სკოლის არასრულსაშუალო (საბაზო) საფეხურზე სწავლის შესაბამისი ასაკის და ამჟამად ექვრებიან სკოლის არასრულსაშუალო (საბაზო) ან განათლების უფრო მაღალ საფეხურს</p> <p>c) არიან სკოლის სრულსაშუალო საფეხურზე სწავლის შესაბამისი ასაკის და ამჟამად ექვრებიან სკოლის სრულსაშუალო საფეხურს ან განათლების უფრო მაღალ საფეხურს</p>	96.9  95.1  84.6
LN.6a LN.6b LN.6c	ბავშვები სკოლის გარეთ	ED	<p>ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც</p> <p>a) არიან სკოლის დაწყებით საფეხურზე შესვლის შესაბამისი ასაკის და არ დადიან საბავშვო ბაღში, არ ექვრებიან სკოლის დაწყებით ან არასრულსაშუალო (საბაზო) საფეხურს</p> <p>b) არიან სკოლის არასრულსაშუალო საფეხურზე შესვლის შესაბამისი ასაკის და არ ექვრებიან სკოლის არასრულსაშუალო (საბაზო), სრულსაშუალო ან განათლების უფრო მაღალ საფეხურს</p> <p>c) არიან სკოლის სრულსაშუალო საფეხურზე შესვლის შესაბამისი ასაკის და არ ექვრებიან სკოლის არასრულსაშუალო (საბაზო), სრულსაშუალო ან განათლების უფრო მაღალ საფეხურს</p>	0.4  0.1  1.9
LN.7a LN.7b	სკოლის შესაბამისი საფეხურის ბოლო კლასში შესვლის საერთო დონე	ED	სკოლის შესაბამისი საფეხურის ბოლო კლასში შესვლის შესაბამისი ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც პირველად ექვრებიან სკოლის შესაბამისი საფეხურის ბოლო კლასს <p>a) სკოლის დაწყებითი საფეხური</p> <p>b) სკოლის არასრულსაშუალო (საბაზო) საფეხური</p>	79.1 67.7
LN.8a LN.8b LN.8c	დასრულების დონე	ED	სკოლის შესაბამისი საფეხურის ბოლო კლასისთვის განსაზღვრულ ასაკზე 3-5 წლით უფროსი ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, ვინც დაასრულა ეს კლასი <p>a) სკოლის დაწყებითი საფეხური</p> <p>b) სკოლის არასრულსაშუალო (საბაზო) საფეხური</p> <p>c) სკოლის სრულსაშუალო საფეხური</p>	99.7 99.1 88.7

FFLS მაჩვენებელი		SDG <sup>1</sup>	მოდული <sup>2</sup>	განმარტება <sup>3</sup>	მნიშვნელობა
LN.9	სკოლის არასრულ საშუალო (საბაზო) განათლებაში ეფექტური გადასვლის დონე		ED	ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც გასულ წელს ესწავლიდნენ სკოლის დაწყებითი საფეხურის ბოლო კლასს, განმეორებით არ გადიან სკოლის დაწყებითი საფეხურის ბოლო კლასს და მიმდინარე სასწავლო წელს ესწრებიან სკოლის სრული საშუალო (საბაზო) საფეხურის პირველ კლასს	100
LN.10a LN.10b	შესაბამისი კლასისთვის უფროსი ასაკის		ED	მოსწავლეების პროცენტული წილი, რომლებიც არიან იმ კლასისთვის დადგენილ ოფიციალურ ასაკზე 2 და მეტი წლით უფროსი ასაკის, რომელსაც ესწრებიან a) სკოლის დაწყებითი საფეხური b) სკოლის არასრული საშუალო (საბაზო) საფეხური	1.4 2.9
LN.11a LN.11b LN.11c LN.11d	განათლებლის თანასწორობის ინდექსი a) სქესი b) შემოსავლის კვინტილი c) დასახლების ტიპი d) ფუნქციონირების სირთულეები	4.5.1	ED	დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული) გოგონებისთვის გაყოფილი დასწრების წმინდა მაჩვენებელზე (კორექტირებული) ბიჭებისთვის a) ორგანიზებული სწავლება (დაწყებით სკოლაში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი ასაკის) b) სკოლის დაწყებითი საფეხური c) სკოლის არასრული საშუალო (საბაზო) საფეხური d) სკოლის სრული საშუალო საფეხური დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული) სოფლის ტიპის დასახლებებისთვის გაყოფილი დასწრების წმინდა მაჩვენებელზე (კორექტირებული) ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის a) ორგანიზებული სწავლება (დაწყებით სკოლაში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი ასაკის) b) სკოლის დაწყებითი საფეხური c) სკოლის არასრული საშუალო (საბაზო) საფეხური d) სკოლის სრული საშუალო საფეხური	1.06 0.99 0.99 0.95  0.94 1.0 1.0 0.9
				დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული) გოგონებისთვის გაყოფილი დასწრების წმინდა მაჩვენებელზე (კორექტირებული) ბიჭებისთვის a) კითხვა, 7-14 წლის ასაკის b) მათემატიკა, 7-14 წლის ასაკის c) კითხვა, 2/3 კლასის შესაბამისი ასაკის d) მათემატიკა, 2/3 კლასის შესაბამისი ასაკის e) კითხვა, 2/3 კლასი f) მათემატიკა, 2/3 კლასი	1.03 0.93 1.17 0.92 1.21 0.90

FFLS მაჩვენებელი	SDG <sup>1</sup>	მოდული <sup>2</sup>	განმარტება <sup>3</sup>	მნიშვნელობა
			<p>დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული) ულარობის კონტოლისთვის გაყოფილი დასწრების წმინდა მაჩვენებელზე (კორექტირებული) უმდიდრესი კონტოლისთვის</p> <p>a) კითხვა, 7-14 წლის ასაკის</p> <p>b) მათემატიკა, 7-14 წლის ასაკის</p>	<p>0.86</p> <p>0.64</p>
			<p>დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული) სოფლის ტიპის დასახლებებისთვის გაყოფილი დასწრების წმინდა მაჩვენებელზე (კორექტირებული) ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის</p> <p>a) კითხვა, 7-14 წლის ასაკის</p> <p>b) მათემატიკა, 7-14 წლის ასაკის</p>	<p>0.98</p> <p>0.92</p>
LN.12		PR	<p>დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული) ფუნქციონირების სიროულეების მქონე ბავშვებისთვის გაყოფილი დასწრების წმინდა მაჩვენებელზე (კორექტირებული) ფუნქციონირების სიროულეების არმქონე ბავშვებისთვის</p> <p>a) კითხვა, 7-14 წლის ასაკის</p> <p>b) მათემატიკა, 7-14 წლის ასაკის</p>	<p>0.75</p> <p>0.78</p>
LN.13		PR	<p>7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა მანამეურნეობის ზრდასრულმა წევრმა მიიღო მოსწავლის აკადემიური შეფასების ბარათი</p>	64.0
LN.14		PR	<p>7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელსაც რესპონდენტის პასუხის მიხედვით აქვს სკოლის მმართველი ორგანო, რომელშიც შობილებსაც შეუძლიათ მონაწილეობა</p>	75.2
LN.15		PR	<p>7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვისი ზრდასრული შინამეურნეობის წევრიც დაქსოვილი სკოლის მმართველი ორგანოს მიერ გამართულ კრებას</p>	33.0
LN.15		PR	<p>7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვისი ზრდასრული შინამეურნეობის წევრიც დაქსოვილი სკოლის მმართველი ორგანოს მიერ გამართულ კრებას, რომელზეც განხილულ იქნა სკოლის წინაშე წამოჭრილი ძირითადი საგანმანათლებლო პრობლემების/სკოლის ბიუჯეტის საკითხები</p>	25.1
LN.16		PR	<p>7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვისმა ზრდასრულმა შინამეურნეობის წევრმა განხილვა მოსწავლის აკადემიური მოსწრებას მასწავლებლებთან</p>	86.4

FFLS მაჩვენებელი		SDG <sup>1</sup>	მოდული <sup>2</sup>	განმარტება <sup>3</sup>	მნიშვნელობა
LN.17	საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირება მასწავლებლების გაფიცვის ან გამოუცხადებლობის გამო		PR	7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დაიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვერ დაესწრენ გაკვეთილებს მასწავლებლის გაფიცვის ან გამოუცხადებლობის გამო და რომელთათვისაც მინამეურნეობის ზრდასრულმა წევრმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობას ან მმართველი ორგანოს წარმომადგენლებს, როდესაც ბავშვი ვერ დაესწრო გაკვეთილებს	17.2
LN.18	წიგნების ხელმისაწვდომობა სახლში		PR	7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებსაც აქვთ 3 ან მეტი საკითხავი წიგნი შინ	87.3
LN.19	კითხვის წევვა სახლში		FL	7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც სახლში კითხულობენ ან უკითხავენ წიგნებს	87.0
LN.20	საგანმანათლებლო დაწესებულების და სახლის სასაუბრო ენა		FL	7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც სახლში იმავე ენაზე საუბრობენ, რომელზეც საგანმანათლებლო დაწესებულებაში	97.3
LN.21	დახმარება საშინაო დავალების გაკეთებაში		PR	7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დაიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აძლევენ საშინაო დავალებას და ეხმარებიან საშინაო დავალების გაკეთებაში	60.1
LN.22a LN.22b LN.22c LN.22d LN.22e LN.22f	კითხვისა და მათემატიკის მინიმალური უნარები	4.1.1	FL	ბავშვების პროცენტული წილი, რომლებმაც გამოავლინეს საფუძვლიანი კითხვითი უნარები (a) 7-14 წლის ასაკის (b) 2/3 კლასის შესაბამისი ასაკის (c) 2/3 კლასი ბავშვების პროცენტული წილი, რომლებმაც გამოავლინეს საფუძვლიანი მათემატიკური უნარები (d) 7-14 წლის ასაკის (e) 2/3 კლასის შესაბამისი ასაკის (f) 2/3 კლასი	67.0 54.0 54.8 59.8 35.6 37.0
<b>ძალადობისა და ექსპლოატაციისგან დაცვა</b>					
PR.2	ძალადობრივი აღზრდა	16.2.1	FCD	7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებმაც განიცადეს ნებისმიერი სახის ფიზიკური დასჯა ან/და ფსიქოლოგიური აგრესია კატეგორიების მიხედვით ბოლო ერთი თვის განმავლობაში	40.3

## 4. შერჩევის მოცულობა და რესპონდენტის მახასიათებლები

### 4.1 გამოკითხვის შედეგები

SR.1.1 ცხრილში წარმოდგენილია შერჩევის მოცულობა და გამოპასუხების დონეები გამოკითხული შინამეურნეობებისა და 7-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. გამოკვლევის ფარგლებში შერჩეულ იქნა 3,597 შინამეურნეობა, საიდანაც დასახლებულ შინამეურნეობათა რაოდენობამ 3,595 შეადგინა, ხოლო ინტერვიუ წარმატებით ჩატარდა 2,047 შინამეურნეობაში, შესაბამისად, გამოპასუხების დონემ 56.9 პროცენტი შეადგინა.

გამოკითხულ შინამეურნეობებში იდენტიფიცირდა 1,856 (7-14 წლის ასაკის) ბავშვი, ინტერვიუ წარმატებით ჩატარდა 1,780 ბავშვთან, შესაბამისად, გამოპასუხების დონემ 95.9 პროცენტი შეადგინა.



## 4.2 საცხოვრებლის და შინამეურნეობის მახასიათებლები

ცხრილები SR2.1, SR2.2 და SR2.3 ასახავს შინამეურნეობის კითხვარის საფუძველზე მიღებულ დამატებით ინფორმაციას შინამეურნეობების მახასიათებლების შესახებ.

ცხრილ SR2.1-ში დასახლების ტიპის და რეგიონის ჭრილში წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული განაწილება საცხოვრებელი პირობების მახასიათებლების მიხედვით: ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში, დასაძინებლად გამოყენებული ოთახების რაოდენობა და სიმჭიდროვის დონე.

ცხრილ SR2.2-ში წარმოდგენილია შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობისა და მისი წევრების საკუთრებაში არსებული აქტივების ფლობის მიხედვით.

ცხრილი SR2.3 ასახავს შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის განაწილებას კეთილდღეობის ინდექსის კვინტილური ჯგუფების, დასახლების ტიპისა და რეგიონის მიხედვით.

**ცხრილი SR.2.1: საცხოვრებლის მახასიათებლები**

შინამეურნეობების პროცენტული განაწილება საცხოვრებელი მახასიათებლების მიხედვით, დასახლების ტიპის და რეგიონის კრილში, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024

	დასახლების ტიპი		რეგიონი										
	სულ	ქალაქი	სოფელი	თბილისი	იმერეთი	ქვემო ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი	სამცხე-ჯავახეთი			
<b>სულ<sup>A</sup></b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>
<b>ინტერნეტთან წვდომა საცხოვრებელში</b>													
დიახ	98.3	98.2	98.4	97.8	98.2	100.0	99.2	(100.0)	98.8	98.3	99.1	100.0	95.8
არა	1.7	1.8	1.6	2.2	1.8	0.0	0.8	(0.0)	1.2	1.7	0.9	0.0	4.2
<b>დასაბინებლად გამოყენებული ოთახების რაოდენობა</b>													
1	12.0	16.9	5.2	20.0	4.6	1.3	12.1	(9.6)	9.3	10.9	7.0	9.9	6.1
2	44.9	53.6	33.0	61.2	39.0	19.7	34.8	(49.1)	27.4	41.8	44.7	25.1	48.4
3 ან მეტი	43.1	29.5	61.8	18.8	56.4	79.0	53.1	(41.3)	63.3	47.4	48.3	65.0	42.6
<b>შინამეურნეობების რაოდენობა</b>	<b>1,198</b>	<b>692</b>	<b>506</b>	<b>366</b>	<b>90</b>	<b>38</b>	<b>183</b>	<b>14</b>	<b>107</b>	<b>32</b>	<b>110</b>	<b>48</b>	<b>124</b>
სიმკიდროვის დონე	67.8	73.2	58.5	80.4	63.5	37.8	61.9	66.6	47.8	69.0	62.3	60.4	72.8
<b>ერთეულების რაოდენობა (წყვილები, 18 წლის და უფროსი ასაკის პირები, განხვავებული სქესისა და ასაკის ბავშვები და სხვა)</b>	<b>3,506</b>	<b>2,215</b>	<b>1,292</b>	<b>1,253</b>	<b>398</b>	<b>98</b>	<b>365</b>	<b>15</b>	<b>257</b>	<b>94</b>	<b>245</b>	<b>106</b>	<b>483</b>

<sup>A</sup> "ინტერნეტთან წვდომისთვის გამოყენებული მოწყობილობები" მახასიათებლები არ არის მოცემული ცხრილში, თითოეული კატეგორიის მიხედვით შეუქონაგი შემთხვევების მცირე რაოდენობის გამო.

( ) მონაცემები ეფუძნება 25-49 შეუქონავ დაკვირვებას.



### ცხრილი SR.2.3: შემოსავლის კვინტილები

შინამეურნეობის მოსახლეობის პროცენტული განაწილება შემოსავლის კვინტილური ჯგუფების კრილში, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024

	შემოსავლის კვინტილები					სულ	შინამეურნეობის წევრების რაოდენობა
	ულარობესი	მეორე	საშუალო	მეოთხე	უმდიდრესი		
<b>სულ</b>	<b>20.1</b>	<b>19.9</b>	<b>20.0</b>	<b>20.3</b>	<b>19.8</b>	<b>100.0</b>	<b>3,506</b>
<b>დასახლების ტიპი</b>							
ქალაქი	10.2	13.1	21.0	26.3	29.4	100.0	2,215
სოფელი	36.9	31.6	18.3	9.9	3.3	100.0	1,292
<b>რეგიონი</b>							
თბილისი	11.2	10.2	21.7	27.5	29.4	100.0	1,253
აკარის ა.რ.	21.3	23.7	15.3	21.4	18.3	100.0	398
გურია	24.6	35.6	16.6	16.1	7.2	100.0	98
იმერეთი	24.5	24.3	21.4	16.9	12.9	100.0	365
რაქალაქებში და ქვემო სვანეთი	37.5	22.0	22.8	17.7	0.0	100.0	15
კახეთი	33.4	24.2	16.7	15.9	9.8	100.0	257
მცხეთა-მთიანეთი	20.9	18.9	32.6	17.0	10.6	100.0	94
სამეგრელო-ზემო სვანეთი	39.7	30.0	11.0	16.7	2.6	100.0	245
სამცხე-ჯავახეთი	39.9	27.3	14.8	10.8	7.2	100.0	106
ქვემო ქართლი	18.6	25.7	20.0	14.4	21.4	100.0	483
შიდა ქართლი	12.4	21.6	29.5	11.8	24.7	100.0	192

### 4.3 შინამეურნეობის შემადგენლობა

ცხრილი SR.3.1-ში წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება შერჩეული მახასიათებლების მიხედვით: შინამეურნეობის უფროსის სქესი და ასაკი, დასახლების ტიპი, რეგიონი, შინამეურნეობის უფროსის განათლების დონე, შინამეურნეობის წევრების რაოდენობა, შინამეურნეობის უფროსის ეროვნება და შინამეურნეობის შემადგენლობა.

ცხრილში მოცემულია, როგორც შეუწონავი, ასევე შეწონილი რაოდენობები. მსგავსი ინფორმაცია აუცილებელია ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებების ინტერპრეტაციისათვის და ასახავს ძირითად ინფორმაციას კვლევის შერჩევის რეპრეზენტატულობის შესახებ. ამ ანგარიშში წარმოდგენილი სხვა ცხრილები მოიცავს მხოლოდ შეწონილ რაოდენობებს.

წარმოდგენილი ძირითადი მახასიათებლები გამოიყენება ამ ანგარიშში მოცემულ მომდევნო ცხრილებში. ცხრილში წარმოდგენილი მაჩვენებლები გვიჩვენებს კვლევის ძირითადი კატეგორიების დაკვირვებების რაოდენობებს.

შინამეურნეობების შეწონილი და შეუწონავი ჯამური რაოდენობა ტოლია, ვინაიდან შერჩევის წონები ნორმალიზებულია. ცხრილში ასევე წარმოდგენილია კვლევიდან გაანგარიშებული შინამეურნეობის შეწონილი საშუალო ზომა.

**ცხრილი SR.3.1: შინამეურნეობის შემადგენლობა**

შინამეურნეობების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024

	შეწონილი რაოდენობის	შინამეურნეობების რაოდენობა	
	პროცენტი	შეწონილი	შეუწონავი
<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>2,614</b>	<b>2,614</b>
<b>შინამეურნეობის უფროსის სქესი</b>			
მამაკაცი	66.3	1,733	1,889
ქალი	33.7	881	725
<b>შინამეურნეობის უფროსის ასაკი</b>			
<18	0.0	0	0
18-34	8.1	212	209
35-64	55.7	1,457	1,578
65-84	33.9	886	774
85+	2.3	59	53
<b>დასახლების ტიპი</b>			
ქალაქი	57.8	1,511	1,198
სოფელი	42.2	1,103	1,416
<b>რეგიონი</b>			
თბილისი	30.6	800	415
აჭარის ა.რ.	7.6	197	220
გურია	3.1	82	161
იმერეთი	15.2	398	363
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1.2	30	107
კახეთი	8.9	233	236
მცხეთა-მთიანეთი	2.7	70	122
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.2	239	286
სამცხე-ჯავახეთი	4.0	104	213
ქვემო ქართლი	10.3	270	239
შიდა ქართლი	7.2	189	252
<b>შინამეურნეობის უფროსის განათლება</b>			
საბავშვო ბაღი/ არ აქვს განათლება	0.8	22	10
დაწყებითი	4.3	113	126
საშუალო	41.5	1,086	1,225
პროფესიული	19.8	517	522
უმაღლესი	33.5	875	729
არ ვიცი	0.0	1	2
<b>შინამეურნეობის წევრების რაოდენობა</b>			
1	17.5	457	196
2	20.4	534	460
3	18.9	493	500
4	18.7	489	588
5	12.7	332	384
6	7.5	197	285
7+	4.3	113	201
<b>შინამეურნეობის უფროსის ეროვნება</b>			
ქართველი	90.2	2,357	2,353
აზერბაიჯანელი	5.9	154	130
სომეხი	2.8	74	100
სხვა	1.1	28	31

**ცხრილი SR.3.1: შინამეურნეობის შემადგენლობა**

შინამეურნეობების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024

	შეწონილი რაოდენობის პროცენტი	შინამეურნეობების რაოდენობა	
		შეწონილი	შეუწონავი
<b>შინამეურნეობა<sup>A</sup></b>			
მინიმუმ ერთი 7 წლამდე ასაკის ბავშვით	20.1	525	597
მინიმუმ ერთი 7-14 წლის ასაკის ბავშვით	23.9	625	1,258
მინიმუმ ერთი 18 წლამდე ასაკის ბავშვით	40.8	1,067	1,565
არცერთი ზრდასრული (18+) წევრით	0.0	0	0
<b>შინამეურნეობის საშუალო ზომა</b>	3.9	2,614	2,614

<sup>A</sup> თითოეული სიდიდე წარმოადგენს დამოუკიდებელ მახასიათებელს, შინამეურნეობის საერთო რაოდენობიდან.

#### 4.4 შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა

გამოკვლევის შედეგების საფუძველზე მოსახლეობის შეწონილი რაოდენობების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით წარმოდგენილია SR.4.1 ცხრილში. კვლევაში გამოკითხულ შინამეურნეობებში შეწონილი შინამეურნეობის წევრების რაოდენობამ 10,120 შეადგენა, საიდანაც 4,861 მამაკაცი, ხოლო 5,259 ქალი იყო.

<b>ცხრილი SR.4.1: შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება სქესის მიხედვით</b>						
შინამეურნეობების მოსახლეობის პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების, ბავშვობის (7-14 წლის ასაკის), ზრდასრულობის (18 წლის და უფროსი ასაკის) და სქესის მიხედვით, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024						
	მამაკაცი		ქალები		სულ	
	რაოდენობა	პროცენტი	რაოდენობა	პროცენტი	რაოდენობა	პროცენტი
<b>სულ</b>	<b>4,861</b>	<b>100.0</b>	<b>5,259</b>	<b>100.0</b>	<b>10,120</b>	<b>100.0</b>
<b>ასაკი</b>						
0-4	287	5.9	303	5.8	590	5.8
5-9	403	8.3	340	6.5	743	7.3
10-14	334	6.9	273	5.2	607	6.0
15-19	295	6.1	295	5.6	590	5.8
15-17	179	3.7	164	3.1	343	3.4
18-19	116	2.4	131	2.5	247	2.4
20-24	304	6.2	279	5.3	582	5.8
25-29	326	6.7	300	5.7	627	6.2
30-34	324	6.7	397	7.5	721	7.1
35-39	424	8.7	345	6.6	769	7.6
40-44	334	6.9	378	7.2	712	7.0
45-49	316	6.5	290	5.5	607	6.0
50-54	303	6.2	332	6.3	636	6.3
55-59	291	6.0	322	6.1	613	6.1
60-64	288	5.9	392	7.5	680	6.7
65-69	260	5.4	329	6.3	589	5.8
70-74	160	3.3	322	6.1	482	4.8
75-79	116	2.4	160	3.0	276	2.7
80-84	59	1.2	127	2.4	186	1.8
85+	35	0.7	74	1.4	109	1.1
<b>ბავშვების და ზრდასრულების რაოდენობა<sup>A</sup></b>						
7-14 წლის ასაკის ბავშვები	564	11.6	489	9.3	1,054	10.4
15-17 წლის ასაკის ბავშვები	179	3.7	164	3.1	343	3.4
18 წლის ან უფროსი ასაკის მოზრდილები	3,657	75.2	4,179	79.5	7,836	77.4

<sup>A</sup> თითოეული სიდიდე წარმოადგენს დამოუკიდებელ მახასიათებელს, შინამეურნეობის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან.

#### 4.5 7-14 წლის ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები

SR.5.3 ცხრილში მოცემულია ძირითადი მახასიათებლები 7-14 წლის ასაკის ბავშვების შესახებ. ცხრილში მოცემული შეწონილი და შეუწონავი დაკვირვებების ჯამური რაოდენობა თანაბარია, რამდენადაც შერჩევის წონები ნორმალიზებულია. მახასიათებლების მოცემული კატეგორიები გამოყენებულია მოცემული ანგარიშის შესაბამის მონაცემთა ტაბულაციაში.

<b>ცხრილი SR.5.3: 7-14 წლის ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები</b>			
7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024			
	შეწონილი რაოდენობის პროცენტი	შინამეურნეობების რაოდენობა სულ მცირე ერთი 7-14 წლის ასაკის ბავშვით	
		შეწონილი	შეუწონავი
<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>1,780</b>	<b>1,780</b>
<b>სქესი</b>			
მამაკაცი	53.1	945	927
ქალი	46.9	835	853
<b>დასახლების ტიპი</b>			
ქალაქი	64.9	1,155	835
სოფელი	35.1	625	945
<b>რეგიონი</b>			
თბილისი	37.1	660	298
აჭარის ა.რ.	9.4	168	157
გურია	2.5	45	104
იმერეთი	10.3	183	224
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.4	7	63
კახეთი	6.9	123	209
მცხეთა-მთიანეთი	2.5	45	89
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7.6	135	152
სამცხე-ჯავახეთი	3.3	59	126
ქვემო ქართლი	13.8	246	205
შიდა ქართლი	6.2	110	153
<b>ასაკი</b>			
7-9	38.8	691	667
10-14	61.2	1,089	1,113
<b>დედის განათლება<sup>A,D</sup></b>			
საბავშვო ბავშვი/ არ აქვს განათლება	0.0	1	1
დაწყებითი	6.7	119	118
საშუალო	32.9	586	680
პროფესიული	15.1	269	304
უმადლესი	45.1	802	673
არ ვიცი	0.2	3	4
<b>ბავშვის ფუნქციონირების სირთულეები<sup>B</sup></b>			
აქვს ფუნქციონირების სირთულეები	5.7	102	93
არ აქვს ფუნქციონირების სირთულეები	94.3	1,678	1,687

**ცხრილი SR.5.3: 7-14 წლის ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები**

7-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024

	შეწონილი რაოდენობის პროცენტი	შინამეურნეობების რაოდენობა სულ მცირე ერთი 7-14 წლის ასაკის ბავშვით	
		შეწონილი	შეუწონავი
<b>დედის ფუნქციონირების სირთულეები<sup>ა</sup></b>			
აქვს ფუნქციონირების სირთულეები	5.2	93	67
არ აქვს ფუნქციონირების სირთულეები	94.8	1,687	1,713
<b>შინამეურნეობის უფროსის ეროვნება</b>			
ქართველი	89.2	1,587	1,593
აზერბაიჯანელი	7.5	133	118
სომეხი	2.9	51	60
სხვა	0.5	9	9
<b>შემოსავლის კვინტილები</b>			
ულარიბესი	21.8	387	467
მეორე	19.9	354	407
საშუალო	20.2	360	368
მეოთხე	18.9	337	288
უმდიდრესი	19.2	341	250

<sup>ა</sup> როგორც ამ ცხრილში ასევე მთელ ანგარიშში დედის განათლება ეხება რესპონდენტის საგანმანათლებლო მიღწევებს (ნაცვლად დედისა მომვლელები გამოიკითხებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დედა გარდაცვლილია ან სხვაგან ცხოვრობს).

<sup>ბ</sup> ბავშვის ფუნქციონირების მოდულის შედეგები წარმოდგენილია EQ1.2 ცხრილში.

<sup>ც</sup> როგორც ამ ცხრილში ასევე მთელ ანგარიშში დედის ფუნქციონირების სირთულეები მოიცავს რესპონდენტის ფუნქციონირების სირთულეებს, როგორც ნაჩვენებია შენიშვნა B-ში.

<sup>დ</sup> პასუხის კატეგორია "ემანსიპირებული" არ არის მოცემული ცხრილში, ვინაიდან არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა.

## 4.6 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

გამოკვლევის შედეგად შეგროვდა ინფორმაცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოწყობილობების საკუთრებისა და ინტერნეტზე წვდომის შესახებ.

SR.9.2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია შინამეურნეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მოწყობილობების (რადიო, ტელევიზორი, ფიქსირებული ტელეფონი, მობილური ტელეფონი, რომელიც მოიცავს სმარტფონს და კომპიუტერს) საკუთრებისა და ინტერნეტზე წვდომის შესახებ.

**ცხრილი SR.9.2: შინამეურნეობის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოწყობილობების ფლობა და ინტერნეტთან წვდომა**

შინამეურნეობის პროცენტული წილი, ვისაც აქვს სარეგისტრაციო რაიონი, ტელეფონი, კომპიუტერი და აქვს წვდომა ინტერნეტზე საცხოვრისში, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და სავაჭრო სფეროს უნარები, 2024

	ტელეფონი						შინამეურნეობის პროცენტული წილი, ვისაც აქვს ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში <sup>4</sup>	შინამეურნეობების რაოდენობა
	ტელეფონი <sup>1</sup>	სტაციონარული სატელეფონო კავშირი (სახლის ტელეფონი)	მობილური ტელეფონი	ნებისმიერი <sup>2</sup>	კომპიუტერი <sup>3</sup>	შინამეურნეობის პროცენტული წილი, ვისაც აქვს ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში <sup>4</sup>		
<b>სულ</b>	<b>97.4</b>	<b>7.0</b>	<b>99.7</b>	<b>99.8</b>	<b>80.4</b>	<b>98.3</b>	<b>1,198</b>	
<b>დასახლების ტიპი</b>								
ქალაქი	96.6	10.4	99.8	99.8	79.3	98.2	692	
სოფელი	98.6	2.4	99.5	99.7	82.0	98.4	506	
<b>რეგიონი</b>								
თბილისი	94.8	10.4	100.0	100.0	77.8	97.8	366	
აჭარის ა.რ.	99.2	6.6	100.0	100.0	60.7	98.2	90	
გურია	100.0	0.0	100.0	100.0	97.2	100.0	38	
იმერეთი	98.9	5.9	99.3	99.3	81.5	99.2	183	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	(100.0)	(0.0)	(100.0)	(100.0)	(95.1)	(100.0)	14	
კახეთი	94.7	4.6	99.0	100.0	81.4	98.8	107	
მცხეთა-მთიანეთი	98.7	7.6	100.0	100.0	89.5	98.3	32	
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100.0	0.0	100.0	100.0	97.4	99.1	110	
სამცხე-ჯავახეთი	97.2	9.4	100.0	100.0	57.1	100.0	48	
ქვემო ქართლი	98.5	9.3	100.0	100.0	83.7	95.8	124	
შიდა ქართლი	100.0	6.8	98.2	98.2	82.6	98.0	87	
<b>შინამეურნეობის უფროსის განაილება</b>								
საბავშვო ბაღი/ არ აქვს განათლება	(*)	(*)	(*)	(*)	(*)	(*)	1	
დაწყებითი	97.2	5.3	100.0	100.0	67.7	95.0	59	
საშუალო	96.9	4.5	99.8	99.8	76.6	97.7	515	
პროფესიული	98.5	8.9	99.5	100.0	86.2	99.6	204	
უმადლეისი	97.5	9.4	99.5	99.5	84.2	98.8	419	

**ცხრილი SR.9.2: შინამეურნეობის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოწყობილობების ფლობა და ინტერნეტთან წვდომა**

შინამეურნეობის პროცენტული წილი, ვისაც აქვს სარგებლობაში რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, კომპიუტერი და აქვს წვდომა ინტერნეტზე საცხოვრისში, საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირება და საფუძვლიანი სწავლების უნარები, 2024

	ტელეფონი					
	სტაციონარული სატელეფონო კავშირი (სახლის ტელეფონი)	მობილური ტელეფონი	ნებისმიერი <sup>2</sup>	კომპიუტერი <sup>3</sup>	შინამეურნეობის პროცენტული წილი, ვისაც აქვს ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში <sup>4</sup>	შინამეურნეობის რაოდენობა
<b>შინამეურნეობის უფროსის კრთვება</b>						
ქართველი	97.4	6.6	99.6	99.7	81.0	1,096
აზერბაიჯანელი	100.0	8.3	100.0	100.0	80.5	67
სომეხი	(98.0)	(16.2)	(100.0)	(100.0)	(64.6)	26
სხვა	(*)	(*)	(*)	(*)	(*)	10
<b>შემოსავლის კვინტალი</b>						
უღარიბესი	92.9	2.9	99.4	99.7	52.9	290
მეორე	97.1	4.6	99.7	99.7	77.7	249
საშუალო	99.2	7.3	100.0	100.0	85.5	256
მეოთხე	99.5	9.1	100.0	100.0	97.4	211
უმაღლესი	100.0	13.6	99.3	99.3	100.0	192

<sup>1</sup> FFLS მაჩვენებელი SR.1 - შინამეურნეობები, ვისაც აქვთ სარგებლობაში ტელევიზორი

<sup>2</sup> FFLS მაჩვენებელი SR.2 - შინამეურნეობები, ვისაც აქვთ სარგებლობაში ტელეფონი

<sup>3</sup> FFLS მაჩვენებელი SR.3 - შინამეურნეობები, ვისაც აქვთ სარგებლობაში კომპიუტერი

<sup>4</sup> FFLS მაჩვენებელი SR.4 - შინამეურნეობები, ვისაც აქვთ წვდომა ინტერნეტთან

(\*) მონაცემები ეფუძნება 25-ზე ნაკლებ შეუწონავ დაკვირვებას

( ) მონაცემები ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.

## 4.7 ბავშვთა საცხოვრებელი პირობები

ბავშვთა უფლებების კონვენცია (CRC) აღიარებს, რომ „ბავშვი, მისი სრული და ჰარმონიზებული პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელია, რომ იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში“. მილიონობით ბავშვი მთელ მსოფლიოში იზრდება მშობლების მზრუნველობის გარეშე სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის მშობლების ადრეულ ასაკში გარდაცვალების ან სამუშაოს ძიების პროცესში მიგრაციის გამო. უმეტეს შემთხვევებში, აღნიშნული ბავშვები ზრუნვას ნათესავებისგან იღებენ, ხოლო სხვა შემთხვევებში, ბავშვები შეიძლება სხვა შინამეურნეობებში ცხოვრობდნენ. ბავშვების საცხოვრებელი პირობების, მათ შორის იმ შინამეურნეობების შემადგენლობის შესწავლა, სადაც ისინი ცხოვრობენ და მათზე მზრუნველ პირებთან კავშირის შესწავლა, უმთავრესია მიზნობრივი ინტერვენციების შემუშავებისთვის, რომლებიც ბავშვზე ზრუნვისა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებას ისახავენ მიზნად.

SR.11.1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 18 წლამდე ასაკის ბავშვების საცხოვრებელი პირობებისა და ობლობის სტატუსის შესახებ.

